

**სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა**

შესავალი

საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისია და განვითარების სტრატეგიული გეგმა მომზადებულია არსებული ნორმატიული აქტების, „სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის მისიის, განვითარების სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და გეგმების შესრულების მონიტორინგის წესის“, „უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული გეგმის სარედაქციო ჯგუფის შექმნის შესახებ“ რექტორის 2017 წლის 6 დეკემბრის N 01-08/86 ბრძანებისა და რექტორის 2019 წლის 8 თებერვლის N 01-08/11 ბრძანების საფუძველზე.

ხელოვნების უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმა ემყარება უნივერსიტეტის მიერ ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და ითვალისწინებს ქვეყნისა და უცხოეთის თანამედროვე ტენდენციებს.

უნივერსიტეტის განვითარების სტრატეგიული გეგმის მიზნები და ამოცანები ასახავს იმ პრიორიტეტებს, რომლებიც უნივერსიტეტის წინაშე დგას საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო მიმართულებით.

ხელოვნების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა და მისია 2017-2018 წელს მოამზადა სამუშაო ჯგუფმა ხელოვნების უნივერსიტეტის პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, პოტენციური დამსაქმებლების და სხვა პარტნიორი დაწესებულებების, არასამთავრობო ორგანიზაციების მონაწილეობით, რომელიც დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 25 აპრილის სხდომაზე (N 05-01/03).

სტრატეგიული განვითარების გეგმის თავდაპირველი ვერსია გათვლილი იყო 2018-2024 წლებისათვის, მისიაში კი არ იყო ასახული სამეცნიერო კვლევების განვითარება. არსებული გეგმისა და მისიის კრიტიკული ანალიზის, პარტნიორი დაწესებულებების გამოცდილების, ექსპერტების მიერ ჩატარებული ვორკშოპების რეკომენდაციების, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პასუხისმგებელ პირებთან კონსულტაციების, სტუდენტებთან, პერსონალთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან გამართული დისკუსიებისა და საჯარო განხილვების შემდეგ გადაწყდა მნიშვნელოვანი შესწორებების შეტანა სტრატეგიული განვითარების გეგმისა და მისიის არსებულ დოკუმენტებში, რომელიც განხილულ იქნა აკადემიური საბჭოს 2019 წლის 20 მარტის სხდომაზე და დამტკიცდა წარმომადგენლობითი საბჭოს 2019 წლის 20 მარტის სხდომაზე.

ხელოვნების უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა პასუხობს ქვეყნის სამთავრობო აქტებით, საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით გათვალისწინებულ საპროგრამო მოთხოვნებს. ხელოვნების უნივერსიტეტი თავად იყო ჩართული ქვეყნის კულტურის სტრატეგიის პროექტის შემუშავებაში და სახელოვნებო განათლებასთან დაკავშირებით წარდგენილი წინადადებები გათვალისწინებულ იქნა დოკუმენტის დამტკიცებულ ვერსიაში. ხელოვნების უნივერსიტეტის მრავალწლიანი მცდელობით, 2018 წელს რეგიონალური უნივერსიტეტებისათვის მნიშვნელოვანი ცვლილება შევიდა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში, რომელსაც დაფინანსების წყაროებში დაემატა „ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსება“ და შექმნა რესპუბლიკური ბიუჯეტიდან სახელმწიფო უნივერსიტეტების, მათ შორის ხელოვნების უნივერსიტეტის, დაფინანსების მყარი გარანტია.

ხელოვნების უნივერსიტეტის მოკლე ისტორია

ქ. ბათუმში უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულების ისტორია სათავეს იღებს გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან. 1995 წლის 29 სექტემბერს საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ქ. ბათუმში ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი დაარსდა. რამდენიმე წელიწადში ხელოვნების ინსტიტუტი იქცა წამყვან სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრად. ხელოვნების ინსტიტუტში 3 ფაკულტეტი და 9 კათედრა არსებობდა.

1996 წელს ხელოვნების ინსტიტუტთან გაიხსნა საბალეტო სტუდია ორი ასაკობრივი ჯგუფისათვის. 1999 წელს საბალეტო სტუდია გამოეყო ხელოვნების ინსტიტუტს საბალეტო სკოლა-სასწავლებლის სტატუსით.

1998 წელს ხელოვნების ინსტიტუტის მუსიკალურ დისციპლინათა ფაკულტეტის ბაზაზე გაიხსნა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია.

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციულ ტერიტორიაზე არსებული უმაღლესი საგანმანათლებლო, სახელოვნებო და ზოგიერთი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულების რეორგანიზაციის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 23 თებერვლის №137 დადგენილებით ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტი და ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია გაერთიანდა ახლადდაფუძნებულ საჯარო სამართლის იურიდიულ პირთან - შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ხელოვნების ფაკულტეტის სტატუსით.

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 14 აგვისტოს №146 დადგენილებით სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნების ფაკულტეტის ბაზაზე შეიქმნა სსიპ-ბათუმის ხელოვნების ინსტიტუტი, რომელსაც საქართველოს მთავრობის 2009 წლის 9 ოქტომბრის №180 დადგენილებით ეწოდა სსიპ-ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტი.

ხელოვნების უნივერსიტეტმა მოამზადა ასეულობით პროფესიონალი ხელოვანი, რომლებიც ამჟამად წარმატებით მოღვაწეობენ, როგორც ჩვენს ქვეყანაში, ასევე საზღვარგარეთ.

ხელოვნების უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობა

ბათუმის ხელოვნების უნივერსიტეტში სწავლობს 397 სტუდენტი, დასაქმებულია 282-მდე თანამშრომელი (მოწვეული პერსონალის ჩათვლით, რაოდენობა სემესტრულად იცვლება პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე), მათ შორის 40 აკადემიური თანამდებობის პირი. აქედან: პროფესორი - 13, ასოცირებული პროფესორი - 21, ასისტენტ-პროფესორი - 3, ასისტენტი - 3.

ხელოვნების უნივერსიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი შეადგენს 1 750 000 ლარს. მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხა - 1 150 000 ლარი: საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროდან - 400 000 ლარი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტიდან - 850 000 ლარი, სტუდენტთა სწავლის საფასურიდან შემოსული თანხა - 500 000 ლარი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერითა და დაფინანსებით 2019 წელს ექსპლუატაციაში შევა ხელოვნების უნივერსიტეტის ახალი შენობა, რომელიც უმაღლესი სახელოვნებო განათლების თანამედროვე მოთხოვნებს პასუხობს. შენობა უზრუნველყოფილია სარეპეტიციო დარბაზებით, შემოქმედებითი სახელოსნოებით, სამონტაჟო კაბინეტებითა და ვიდეოაუდიო აპარატურით, მუსიკალური ინსტრუმენტებით, დიდი და მცირე აუდიტორიებით, სასწავლო თეატრით, მცირე საკონცერტო დარბაზით, საკონფერენციო და საგამოფენო დარბაზებით, ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდით, კომპიუტერული აუდიტორიით, კვების ბლოკით, ხანძარსაწინააღმდეგო, გათბობისა და კონდიციონერების უახლესი აღჭურვილობით, ლიფტით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისათვის ადაპტირებული გარემოთი.

საგანმანათლებლო პროცესში, აგრეთვე, აქტიურად გამოიყენება ხელოვნების უნივერსიტეტის პარტნიორი დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზები, როგორც სასწავლო-შემოქმედებითი პროექტების, სადიპლომო სამუშაოების, ასევე სტუდენტთა საწარმოო პრაქტიკისათვის, რაც ხელს უწყობს სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარებას და ამით ქმნის კურსდამთავრებულთა წარმატებული დასაქმების შესაძლებლობებს.

უნივერსიტეტში ფუნქციონირებს:

3 ფაკულტეტი - სახვითი, სასცენო და კინო-ტელე ხელოვნების ფაკულტეტი; მუსიკის ფაკულტეტი; განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი; 7 სასწავლო-დარგობრივი დეპარტამენტი; უწყვეტი განათლების ცენტრი; სასწავლო თეატრი; ბიბლიოთეკა; გამომცემლობა; სასწავლო-სამკერვალო სახელოსნო; სტუდიები და ლაბორატორიები; ადმინისტრაციული დეპარტამენტები, სამსახურები და განყოფილებები.

2012 წლიდან ხელოვნების უნივერსიტეტი ევროპის ხელოვნების ინსტიტუტების ლიგის სრულუფლებიანი წევრია. უნივერსიტეტი ჩართულია საერთაშორისო პროექტებში. პარტნიორული ურთიერთობა აქვს დამყარებული 15 ქვეყნის 32-ზე მეტ უნივერსიტეტთან.

ხელოვნების უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება ფოლკლორული და სასულიერო მუსიკის საერთაშორისო ფესტივალი და კონფერენცია, ორ წელიწადში ერთხელ - პროფესორ-მასწავლებელთა საერთაშორისო კონფერენცია, ყოველწლიურად სტუდენტთა საერთაშორისო კონფერენცია.

უნივერსიტეტის დაფინანსებით გამოდის სამეცნიერო კრებული „ხელოვნებათმცოდნეობითი ეტიუდები“ და სხვ.

ხელოვნების უნივერსიტეტი ახორციელებს აკადემიური განათლების 2 საფეხურის ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის უმაღლეს საგანმანათლებლო, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ერთწლიან და სპეციალისტთა გადამზადების მოკლევადიან პროგრამებს. 2016 წლამდე მოქმედებდა პროფესიული პროგრამები. ავტორიზაციისათვის მომზადებულია რამდენიმე ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი და სტუდენტები მონაწილეობენ შიდა და საერთაშორისო შემოქმედებით და სამეცნიერო პროექტებში, ქალაქისა და ქვეყნის სხვადასხვა კულტურულ აქტივობებში.

მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამები

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- არქიტექტურა და დიზაინი (შენობა-ნაგებობათა არქიტექტურა; ინტერიერი და დიზაინი);
- სახვითი ხელოვნება (დაზღუდული ფერწერა, დაზღუდული გრაფიკა);
- დიზაინი (ტექსტილის დიზაინი, სამოსის დიზაინი)
- აუდიოვიზუალური ხელოვნება (კინორეჟისურა, ტელერეჟისურა);
- საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამისა და კინოს სამსახიობო; დრამატული თეატრის რეჟისურა; თოჯინების თეატრის სამსახიობო; თოჯინების თეატრის რეჟისურა);
- კულტურის მენეჯმენტი;
- ხელოვნებათმცოდნეობა;
- კულტურული ტურიზმი;
- ტელე-რადიო ჟურნალისტიკა;
- სამუსიკო შემსრულებლობა (ფორტეპიანო, აკადემიური სიმღერა, აკადემიური გუნდის დირიჟორობა, საორკესტრო);

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- სამოსის დიზაინი;
- ხელოვნების ისტორია და თეორია (ხელოვნებათმცოდნეობა);
- აუდიოვიზუალური ხელოვნება (მხატვრული კინოს რეჟისურა);
- საშემსრულებლო-შემოქმედებითი ხელოვნება (დრამის რეჟისურა, თოჯინების თეატრის რეჟისურა);
- ხელოვნების მენეჯმენტი;
- სამუსიკო შემსრულებლობა (კლავიშოანი საკრავები, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო).

მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი პროგრამები

- სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის მომზადების;
- მუსიკის მასწავლებლის მომზადების (მომზადებულია აკრედიტაციისათვის).

დღითი დღე იზრდება ხელოვნების უნივერსიტეტის პოპულარობა და იმიჯი საზოგადოებაში. დამსაქმებლებში ზოგიერთი მიმართულებით მოთხოვნაა, არა მხოლოდ კურსდამთავრებულებზე, არამედ სტუდენტებზეც (დიზაინი, ხელოვნებათმცოდნეობა, აკადემიური სიმღერა, საორკესტრო), უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოში მოქმედი თეატრებისათვის სისტემატურად ამზადებს მიზნობრივ ჯგუფებს თეატრისა და კინოს მსახიობის სპეციალობაში.

უნივერსიტეტის უალტერნატივობა და ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერა მყარ გარანტიებს ჰქმნის განვითარებისათვის.

ხელოვნების უნივერსიტეტის შენობა, როგორც მრავალფუნქციური სივრცე, გამოიყენება საქალაქო და რეგიონალური ვორკშოპების, სემინარების, გამოფენების, კონფერენციების, კონკურსების, სხვადასხვა ფორმის კულტურული აქტივობებისათვის, რაც უნივერსიტეტის პოპულარობასთან ერთად ხელს უწყობს პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას ამ აქტივობებში და საგანმანათლებლო და შემოქმედებითი პროცესების არასაუნივერსიტეტო განათლებისა და კულტურულ აქტივობებთან ინტეგრაციას.

ხელოვნების უნივერსიტეტის ხედვა:

ეროვნული და საერთაშორისო გამოცდილებით საგანმანათლებლო პროგრამების განვითარება და განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა.

ხელოვნების უნივერსიტეტის დევიზი: შემოქმედება, განათლება, თავისუფლება.

ღირებულებები: პროფესიონალიზმი; აკადემიურობა; თანასწორობა; სამართლიანობა; ჰუმანურობა; პასუხისმგებლობა და პუნქტუალობა; კეთილსინდისიერება; გუნდურობა; ტოლერანტობა; თავისუფლება.

ხელოვნების უნივერსიტეტის მისია:

- უმაღლესი სახელოვნებო აკადემიური, პროფესიული და უწყვეტი განათლების პროგრამების/კურსების განხორციელებით კონკურენტუნარიანი, მაღალკვალიფიციური, თავისუფალი, ზნეობრივი და შეგნებული მოქალაქეობრივი სულისკვეთების მქონე სპეციალისტების მომზადება და საზოგადოების მოთხოვნების დაკმაყოფილება;
- რეგიონში¹ დაიკავოს კულტურის, თეატრის, მუსიკის, კინოს, არქიტექტურის, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგებში/სფეროებში მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო ცენტრის ადგილი და ხელი შეუწყოს შემოქმედებითი და კვლევითი საქმიანობის განვითარებას. (25.03.2020, №05-01/02)

აღნიშნული მისიიდან გამომდინარე,

1. ხელოვნების უნივერსიტეტის მიზნებია:

- სახელოვნებო განათლების სფეროში ისეთი აკადემიური, პროფესიული და მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ამ პროგრამების განხორციელებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, როგორც ეს ქვეყნის საკანონმდებლო აქტებით, ბოლონის დეკლარაციითა და სახელოვნებო ინსტიტუტების ევროპული ლიგის ასოციაციის (ELIA), სხვა საერთაშორისო აქტების ფუძემდებლური პრინციპებითაა განსაზღვრული;
- სტუდენტებზე ორიენტირებული საუნივერსიტეტო გარემოს შექმნა და უნივერსიტეტის ინტეგრაცია სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცეში;
- ქვეყნის, რეგიონისა და საზოგადოების ინტერესების შესატყვისი აკადემიური, პროფესიული და მოკლევადიანი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და უწყვეტი განათლების სასწავლო კურსების განხორციელება;
- გახდეს ერთ-ერთი წამყვანი უნივერსიტეტი უმაღლესი სახელოვნებო განათლების სივრცეში, ტრადიციული სპეციალობებით დაუახლოვდეს თანამედროვე მოთხოვნებს და დაწეროს ახალი სპეციალობები;
- უზრუნველყოს ქართული კულტურისა და ხელოვნების დარგების მაღალკვალიფიციური კადრებით აღჭურვა, საუნივერსიტეტო განათლების, შემოქმედებითი პროექტებისა და სამეცნიერო კვლევების განხორციელება;
- უნივერსიტეტის თანამშრომლობა საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტებთან, ერთობლივი სასწავლო და შემოქმედებითი პროექტების განხორციელება;
- უნივერსიტეტში მიღებული ცოდნის რეალიზება ქართული საზოგადოების წიაღში;
- სტუდენტის პიროვნული პოტენციალის რეალიზება, შემოქმედებითი უნარ-ჩვევების განვითარება, მაღალი ხარისხის აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების გზით;
- სტუდენტების აღზრდა ქართული და მსოფლიო კულტურის ფასეულობებზე, მათი ორიენტირება ეროვნული ტრადიციების დაცვაზე, სამოქალაქო საზოგადოებისა და ჰუმანიზმის იდეალების განვითარებაზე;
- სპეციალისტთა გადამზადება, დამატებითი განათლების მისაღებად მრავალფეროვანი პროგრამების შემუშავება და უწყვეტი განათლების სისტემის დანერგვა;
- უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე ადგილობრივი და უცხოელი აკადემიური პერსონალის მოწვევა;
- საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და სამეცნიერო კვლევებისათვის უახლესი ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი გარემოს შექმნა, მეთოდური და ინფორმაციული უზრუნველყოფა.

შენიშვნა: 1. „რეგიონის“ ცნებაში იგულისხმება მთლიანად დასავლეთ საქართველო და არა კონკრეტული

მხარე.

1. ჩამოყალიბებული მიზნების მისაღწევად უნივერსიტეტი განახორციელებს შემდეგ ამოცანებს:

- აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობით შეიმუშავებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმებს;
- ახორციელებს აკადემიური განათლების საბაკალავრო და სამაგისტრო და პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებს; სპეციალისტთა მომზადებისა და გადამზადების მოკლევადიან სასწავლო კურსებს;
- ღია კონკურსის საფუძველზე ახდენს აკადემიური პერსონალის შერჩევას;
- თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ასრულებს სხვადასხვა საპროექტო და სამეცნიერო ღონისძიებებს;
- ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური მეთოდების გამოყენებით აღწევს სწავლების მაღალ დონეს;
- ამზადებს და აქვეყნებს სახელმძღვანელოებს, ლექციების კურსებს, სამეცნიერო და მეთოდურ კრებულებს, სხვა სასწავლო ლიტერატურას;
- უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა მონაწილეობას გადაწყვეტილებების მომზადების პროცესში;
- უზრუნველყოფს მართვის საჯაროობასა და გამჭვირვალობას;
- თანამშრომლობს საქართველოს და უცხოეთის უმაღლეს სახელოვნებო და სხვა ტიპის საგანმანათლებლო და შემოქმედებით დაწესებულებებთან, კავშირებთან და ასოციაციებთან;
- ატარებს სტუდენტთა საერთაშორისო და რესპუბლიკურ ფესტივალებს, კონკურსებს, გამოფენებს, პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა კონფერენციებს;
- მონაწილეობს მხარის შემოქმედებით და კულტურულ ღონისძიებებში.

ხელოვნების უნივერსიტეტი აცნობიერებს რა თავის მისიას ქვეყნისა და რეგიონის წინაშე, მზად არის საქართველოს უმაღლესი სახელოვნებო განათლების სისტემაში დამკვიდრებული ტრადიციების გათვალისწინებით დანერგოს თანამედროვე სწავლების ნოვატორული მეთოდები და მოამზადოს სახელოვნებო დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტები, რომლებიც შემოქმედებით წვლილს შეიტანენ ეროვნული კულტურის, ტრადიციებისა და ფასეულობების განვითარებაში.

ხელოვნების უნივერსიტეტის არსებული მდგომარეობის, განვითარების შესაძლებლობების, პრიორიტეტებისა და გამოწვევების შესაფასებლად ჩატარდა SWOT ანალიზი, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა სტრატეგიული განვითარების გეგმა.

SWOT ანალიზი

<i>ძლიერი მხარეები</i>	<i>სუსტი მხარეები</i>
<p>✓ უმაღლესი სახელოვნებო განათლების განხორციელების მრავალწლიანი, წარმატებული გამოცდილება.</p> <p>✓ მისიის შესაბამისი ინფრასტრუქტურა: თანამედროვე მოთხოვნებით აღჭურვილი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება უახლესი სასწავლო აპარატურითა და ინსტრუმენტებით.</p> <p>✓ კონკურსით შერჩეული კვალიფიციური პერსონალი საქმიანი კავშირები ქვეყნის და უცხოეთის საგანმანათლებლო და სახელოვნებო-შემოქმედებით დაწესებულებებთან.</p> <p>✓ უნივერსიტეტის მზაობა ვაკანტურ აკადემიურ თანამდებობებზე საკვალიფიკაციო მოთხოვნაში ინგლისური ენის ცოდნის აუცილებლობის, რამდენიმე მიმართულებით ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების მომზადების დაინტერესება სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო კურსებისადმი. უცხოეთის მოქალაქეთა დაინტერესება სახელოვნებო საგანმანათლებლო პროგრამებისადმი</p>	<p>სახელმწიფო დაფინანსების სიმცირე.</p> <p>სახელოვნებო პროფესიული პროგრამების (ხის, ლითონის, ქვის, მინის და სხვ.) განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური ბაზისა და სტუდენტური საცხოვრებლის არქონა.</p> <p>განათლების ინტერნაციონალიზაციის ხელისშემშლელი ფაქტორები: პერსონალისა და სტუდენტების ნაწილში უცხო ენებში მომზადების დაბალი დონისა და არასაკმარისი ფინანსური რესურსების გამო</p> <p>გაცვლით პროგრამებში ჩართვის პრობლემები</p> <p>ინფორმაციის გავრცელების სიმწირე, სწავლის საფასურის გადახდის პრობლემები</p>

<p>ბიბლიოთეკის მდიდარი წიგნადი ფონდი და ელექტრონული რესურსები აკადემიური პერსონალის მიერ ქართულ ენაზე სასწავლო ლიტერატურის მომზადება საგანმანათლებლო, შემოქმედებითი და კვლევითი პროექტების განხორციელების კარგი გამოცდილება ხელოვნების მასწავლებლის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკის მასწავლებელი) პროგრამებისადმი დაინტერესება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მუსიკალური ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალებისა და ეთნომუსიკოლოგიაში კვლევების პრაქტიკა ქვეყნისა და რეგიონის ინტერესებიდან გამომდინარე საორკესტრო მიმართულების პროგრამაზე ჩარიცხული ყველა სტუდენტის პროგრამული დაფინანსების პოლიტიკა ხელოვნების მასწავლებლის (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება; მუსიკა) განხორციელებისათვის აუცილებელი კარგი პირობები (აკადემიური, მატერიალური რესურსები) შემოქმედებითი მიმართულებით წარმატებული სტუდენტების დაფინანსების შესაძლებლობა სტუდენტთა წახალისებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლების მიზნით შიდა საუნივერსიტეტო სტიპენდიები უდედმამო და სტიქიური უბედურების შედეგად დაზარებული სტუდენტებისათვის განკუთვნილი სოციალური პროგრამა კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა დასაქმების კარგი შედეგები რეგიონის თეატრებისათვის მსახიობების მომზადებისა და დაფინანსების პრაქტიკა პერსონალის წახალისებისა და დაჯილდოების პრაქტიკა ღია, დემოკრატიული, თავისუფალი და შემოქმედებითი გარემო, სწავლისა და მუშაობის კარგი პირობები, კოლეგიალური ატმოსფერო, თანამშრომლობის კარგი პრაქტიკა დასავლეთ საქართველოში უალტერნატივო უმაღლესი სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება, კულტურისა და ხელოვნების მნიშვნელოვანი საგანმანათლებლო და შემოქმედებითი ცენტრით საზოგადოების მაღალი დაინტერესება და პროექტების განხორციელების კარგი შესაძლებლობა ადგილობრივი და უცხოელი ცნობილი ხელოვანების, დარგის ექსპერტების, აკადემიური პერსონალის მოწვევისა და მასტერკლასების პრაქტიკა რეგიონის მუსიკალური ფოლკლორის, ქორეოლოგიის და მატერიალური კულტურის ძეგლების კვლევისათვის საჭირო პროფესიონალი კადრები</p>	
შესაძლებლობები	საფრთხეები
<p>შრომის ანაზღაურების პრობლემა უნივერსიტეტის ხელმძღვანელობის თანმიმდევრული, პრინციპული პოზიციის შედეგად ნაწილობრივ მოგვარდა. არის შანსი დედაქალაქის უმაღლეს სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულებების ანაზღაურებასთან გათანაბრების.</p>	<p>სახელმწიფო უწყებების მხრიდან სახელოვნებო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსებისადმი არათანაბარი დამოკიდებულება. დაბალი ანაზღაურების გამო ახალგაზრდა</p>

<p>აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის, ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მხარდაჭერა უმაღლესი სახელოვნებო განათლებისადმი.</p> <p>უნივერსიტეტის შესახებ ინფორმაციის გავრცელება სარეკლამო საშუალებების გამოყენებითა და შეხვედრებით. ბათუმის, როგორც ქვეყნის კულტურული, ტურისტული ქალაქის განვითარების მზარდი პერსპექტივა, უნივერსიტეტის თანამედროვე სახელოვნებო საგანმანათლებლო სივრცე და კვალიფიციური პერსონალი, სწავლის მინიმალური გადასახადი.</p> <p>საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში ჩართულობა. აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის კომპეტენციებისა და უნარების განვითარებაზე ზრუნვა. ადგილობრივი და საერთაშორისო კავშირების და გამოცდილების გამოყენება.</p> <p>უწყვეტი განათლების პროგრამებით საზოგადოების ინტერესების დაკმაყოფილება.</p>	<p>პერსონალის მიღების ნაკლები შესაძლებლობა.</p> <p>ქვეყნის სოციალური მდგომარეობის გამო სახელოვნებო განათლებისადმი აბიტურიენტთა ინტერესის შესაძლო კლება.</p> <p>უცხო ენის ცოდნის დაბალი დონე. სტუდენტური საცხოვრებლის არქონა.</p>
--	--

რეზიუმე

ხელოვნების უნივერსიტეტის დასახული მიზნებისა და ამოცანების წარმატებით განხორციელების ფაქტორები და რესურსები:

- თანამედროვე ინფრასტრუქტურით აღჭურვილი კარგი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და კვალიფიციური სპეციალისტები;
- უმაღლესი სახელოვნებო განათლების საქართველოში დამკვიდრებული ტრადიციები და გამოცდილება;
- საშემსრულებლო-შემოქმედებითი მიმართულებით აბიტურიენტთა შერჩევის შესაძლებლობა და სწავლით მოტივირებული სტუდენტების მიღების პრაქტიკა;
- პარტნიორებთან თანამშრომლობის გამოცდილება და პერსპექტივა;
- საბიბლიოთეკო რესურსები;
- გარანტირებული სახელმწიფო დაფინანსება;
- სახელოვნებო განათლებისადმი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის მხარდაჭერა.